

წიგნიერების დონე თბილისის მე-11 საჯარო სკოლის მე-5 კლასში

მარიამ ივანიძე

ნინო ბოჭორიშვილი

ქეთევან ბურდული

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, ასისტენტ-პროფესორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

მოზარდის, როგორც კარგი მკითხველის ჩამოყალიბება ადრეული ასაკიდან იწყება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასწავლებელს. აღნიშნული კვლევის მიზანია მე-11 საჯარო სკოლის მე-5 კლასში წიგნიერების დონის განსაზღვრა და იმ მეთოდების შემუშავება, რომელიც ხელს უწყობს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას. ინტერვენციები და რეკომენდაციები ეფუძნება PIRLS-ის წიგნიერების საერთაშორისო კვლევებს.

ნაშრომში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მეთოდებს იყენებენ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები სწავლების პროცესში; რა სირთულეებს აწყდებიან მოსწავლეები ტექსტის ანალიზის დროს და რა გავლენას ახდენს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება მოსწავლეების წიგნიერების დონეზე.

მონაცემთა შეგროვების თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით (ტესტირება, კითხვარი, დაკვირვება, ინტერვიუ) გამოიკვეთა, რომ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში იშვიათად და არაეფექტურად ხდება; მოსწავლეებს სირთულეები ექმნებათ ტექსტის გაგება-გააზრების დროს.

ინტერვენციის ეტაპზე შემუშავდა ის მეთოდები, რომლებიც ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეების წიგნიერების დონის ამაღლებაში. სპეციალურად შერჩეული ტესტების მეშვეობით განვითარდა მოსწავლეთა ტესტზე მუშაობის უნარები.

პრაქტიკული კვლევის საფუძველზე შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარებათ მასწავლებლებს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ეფექტურად დაგეგმვასა და გამოყენებაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები : წიგნიერება, კვლევა, მეთოდები.